



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



# PRESS RELEASE

**დაუყოვნებელი გავრცელებისათვის**

4 მარტი, 2016

საკონტაქტო ინფორმაცია:

ნათია ჩოფლიანი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა

ეროვნული ასოციაცია

e-mail: [nchoplani@nala.ge](mailto:nchoplani@nala.ge)

cell: +995 593 10 46 44

## USAID/ICCAMGR გამართავს მეორე სამუშაო შეხვედრას ეროვნულ დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთათვის

საქართველო, თბილისი – 2016 წლის 4 მარტს, 15:00სთ.ზე სასტუმროში „Room’s Hotel“ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა “საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია” (ICCAMGR) გამართავს რიგით მეორე სამუშაო შეხვედრას ეროვნულ დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. შეხვედრას დაესწრებიან კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფების მდივნები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან. შეხვედრის მიზანია პროექტის ფარგლებში მომზადებული კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის გზამკვლევის დასკვნებისა და რეკომენდაციების და ასევე, პროექტის საქმიანობის განხილვა.

2014 წლიდან დღემდე, ICCAMGR ხელშეწყობით მუნიციპალიტეტებში შეიქმნა კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების 65 სამუშაო ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციას ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის კლიმატის ცვლილების საკითხებზე. აღნიშნულმა ჯგუფებმა, პროექტის ფარგლებში, გაიარეს გადამზადების კურსი და შეიძინეს საკუთარ მუნიციპალიტეტებში კლიმატის ცვლილებასთან გამკლავება-ადაპტაციის უნარჩვევები..

დღესდღეობით, ICCAMGR მუშაობს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის გზამკვლევზე, სადაც წარმოდგენილია იმ ეკონომიკური სექტორების სიღრმისეული ანალიზი, რომლებიც უშუალოდ განიცდიან კლიმატის ცვლილების ზეგავლენას. გზამკვლევი ასევე იძლევა მთელ რიგ რეკომენდაციებს აღნიშნულ საკითხზე ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებთათვის.

პროგრამა მიმართულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის დღის წესრიგში გარემოს დაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებაზე. პროგრამამ დაიწყო კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია მუნიციპალიტეტებში კლიმატის ცვლილების და მდგრადი განვითარების სპეციალური კომისიების შექმნის გზით. ამ კომისიების, თუ სამუშაო ჯგუფების ამოცანაა ხელი შეუწყონ ორგანული კანონით დადგენილი ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციების განხორციელებას ბუნებრივი რესურსების მართვის, სივრცითი დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

აშშ-ს მთავრობა მხარს უჭერს აღნიშნულ ინიციატივას საქართველოში, როგორც მნიშვნელოვან ძალისხმევას საქართველოს ბუნებრივი რესურსების და აგრეთვე საქართველოს ყველა მოქალაქის ეკონომიკური კეთილდღეობის ეფექტური მენეჯმენტისა და დაცვისათვის.

###

**USAID საქართველოში:** ბოლო 20 წლის განმავლობაში, ამერიკელმა ხალხმა, USAID-ის მეშვეობით, 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ის პროექტები მიზნად ისახავს დახმარების გაწევას საქართველოსათვის თავისუფალი და ძლიერი დემოკრატიის მშენებლობის პროცესში და მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესებაზე. USAID უწევს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://georgia.usaid.gov>